

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის
ანგარიში 2022 წლის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ**

ქ. ბორჯომი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28-ე მუხლის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით შექმნილი ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის წესი განსაზღვრულია „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N53 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N54 დადგენილებებით. კომისია 2022 ნოემბრამდე შედგებოდა 11 წევრისაგან.

მოგეხსენებათ 2022 წლის ნოემბრის თვეში იურიდიულ საკითხთა კომისიაში წარმოდგენილი იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი აღნიშნულ კომისიაში საკრებულოს წევრის სალომე თედელურის წარდგენის შესახებ, აღნიშნულის საფუძველზე კომისიის შემადგენლობა გაიზარდა ერთი წევრით.

კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში კომისიამ 2022 წლის საანგარიშო პერიოდში გაწია შესაბამისი სამუშაოები. ამ პერიოდში ჩატარდა 19 სხდომა, სადაც გატანილი და განხილული იქნა 67 საკითხი, რომლებზეც კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გაფორმდა კომისიის სხდომის ოქმებით.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით კომისიის ინიციატივით შემუშავდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი, ასევე საკრებულოს ხუთი მუდმივმოქმედი კომისიის დებულებები, ცვლილება განხორციელდა „ბორჯომის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის N63 და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 მარტის N3 დადგენილებებში.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში 2022 წლის პირველ კვარტალში განახორციელა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (რაც ჯამში 16 -ია) შემოწმება, რომლის ფარგლებში შეფასდა ა(ა)იპ-ების წესდებები და შინაგანაწესები.

შესწავლის დროს გამოვლინდა რიგი ხარვეზი, რომელთა შესახებაც ინფორმაცია რეკომენდაციის სახით მიეწოდათ ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს. გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ უნდა განხორციელებულიყო ა(ა)იპ-ების წესდებებისა და შეძლებისდაგვარად შინაგანაწესების დამუშავება სამართლებრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამ ეტაპზე მერიის პიველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის საკრებულოში წარმოდგენილი ანგარიშის გათვალისწინებით დამუშავებულია ექვსი ა(ა)იპ-ის წესდება, შინაგანაწესი და სამუშაო აღწერილობები.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განახორციელა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად

მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბაკურიანის განვითარების სააგენტოს მიერ საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი დებულების და დადგენილებების პროექტების შესწავლა და საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 137-ე მუხლის თანახმად სამართლებრივი ექსპერტიზისთვის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გადაგზავნა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაწეული რეკომენდაციებისა და შენიშვნების შემდგომ იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილებების პროექტები, საკრებულოს ბიუროს, ხოლო შემდგომ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად რაზედაც მიღებულია შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებიც გამოქვეყნებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე.

კერძოდ:

- ✓ „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება“;
- ✓ „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2022 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი;
- ✓ „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული ახალგაზრდების 2023 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი;
- ✓ „ბორჯომის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამების და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტი;
- ✓ „დაბა ბაკურიანისა და სოფელი დიდი მიტარბის ტერიტორიულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტების დადგენის, სამგზავრო მარშუტებზე ტარიფების, ფასდაკლების სისტემის, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება“
- ✓ სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი;

გარდა ზემოაღნიშნულისა 2022 წლის საანგარიშო პერიოდში მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების ცვლილებების პროექტები, ასევე საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 132-ე მუხლის თანახმად მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ნორმატიული აქტების (დადგენილებების) ექსპერტიზის შედეგად მათ მიერ წარმოდგენილი დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით იურიდიულ საკითხთა კომისიამ უზრუნველყო მიღებული დადგენილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემდეგი ცვლილების პროექტების მომზადება საკრებულოს ბიუროს, ხოლო შემდგომ საკრებულოს სხდომაზე წარდგენის მიზნით:

- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის №19 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 აგვისტოს N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმით წარდგენისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოდების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 ივნისის №16 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ - დადგენილების პროექტი
- „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ივნისის N14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
- დაბა ბაკურიანისა და სოფელი დიდი მიტარბის ტერიტორიულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მარშრუტების დადგენის, სამგზავრო მარშრუტებზე ტარიფების, ფასდაკლების სისტემის, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზებისა და ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოა 2022 წლის 26 აგვისტოს N83 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

- სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო“-ს მიერ სამშენებლო საქმიანობის დარღვევის შესახებ მითითების, შემოწმების აქტის, უწყების დადგენილების და სააღსრულებლო ფურცლის ფორმების დამტკიცების თაობაზე“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აგვისტოს N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ინიციატივით მომზადდა და სამართლებრივი ექსპერტიზის მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გადაეგზავნა:

- ❖ „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.
- ❖ „ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი
- ❖ „ბორჯომის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი
- ❖ „ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.
- ❖ „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.
- ❖ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ - დადგენილების პროექტი.
- ❖ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ან ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, სანებართვო მოწმობის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნული დადგენილებები მიღებულია საკრებულოს სხდომაზე და გამოქვეყნებულია სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს ვებგვერდზე.

გასული წლისათვის იურიდიულ საკითხთა კომისიამ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 28¹ მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 30¹-ე, 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საკრებულოს რეგლამენტის გათვალისწინებით შეითავსა დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის ფუნქცია მოვალეობები, რაც დაკავშირებული იყო იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, უზრუნველყო ბიულეტენების მომზადება, კენჭისყრის პროცესის ორგანიზება და მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაფორმდა კომისიის ოქმი.

ამასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 და 2³ პუნქტის თანახმად იურიდიულ საკითხთა კომისიამ განსაზღვრა საკრებულოს კომისიის წევრთა

რაოდენობა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 30² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სია იურიდიულ საკითხთა კომისიის წარდგინებით რეესტრაციაში გატარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ 2022 წლისათვის აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დამისამართებელი სოფლების (რველი, კორტანეთი, ზანავი) სახელდებლასა და დაუმისამართებელი სოფლების დამისამართებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებში არაერთი წერილი მომზადდა და გადაგზავნილი იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, ასევე საჯარო რეესტრის სააგენტოს სამისამართო რეესტრში.

წერილობითი მიმართვის საფუძველზე 2022 წლისათვის საჯარო რეესტრის სააგენტოს მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 7 ოქტომბრის N 62, 2011 წლის 11 ნოემბრის N 71 და 2013 წლის 4 იანვრის N 1 განკარგულებით განხორციელებული დამისამართება ბორჯომის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში: ზანავში, რველსა და კორტანეთში აღირიცხა სამისამართო რეესტრში და განთავსდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინტერაქტიულ რუკაზე, ამასთან ერთად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია ინიციატივა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში სახელწოდების არმქონე ქუჩების არაბული ციფრების გამოყენებით სახელდების განხორციელების თაობაზე, რაზეც საკრებულოს მიერ ეტაპობრივად მოხდება სამართლებრივი აქტების მომზადება წარმოდგენილი სიტუაციური რუკების შესაბამისად.

კომპეტენციის ფარგლებში განხილული იქნა საკრებულოში შემოსული წერილები და განცხადებები (რაც ჯამში წარმოადგენს 136-ს). კომისიასთან შეთანხმებით მომზადდა, როგორც პასუხები, ასევე წერილები სხვადასხვა უწყებებში გასაგზავნად (რაც ჯამში წარმოადგენს 180-ს).

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

მაკა მანჯავიძე